ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 29 (4023)
11 თებერვალი, ოთხშაბათი. 1970 წ.
ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## პირველიც, მეორეც, მესამეც...

ვოროშილოვგრადი, 10 თებერვალი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ხალიჩაზე გამოვიდა მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის 15 ნაკრები კოლექტივი.

წარმატებით იასპარეზეს რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს გუნდებმა, რომელთა შორის განაწილდა კიდეც მთავარი საპრიზო ადგილები: რუსეთის „კლასიკოსები" გავიდნენ I ადგილზე, საქართველოს წარმომადგენლები — მეორეზე.

ქართველმა მოჭიდავეებმა პირად ჩათვლაშიც იმარჯვეს. ქვემსუბუქ წონაში თავი ისახელა ხალიჩის ვეტერანმა, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა ო. ეგაძემ. მან ყველა მეტოქეს მოუგო და, ცხადია, I ადგილიც გაინაღდა. მეორე საშუალო წონაში უძლიერესი იყო კ. ღულუნიშვილი.

ჩვენმა „კლასიკოსებმა" კიდევ რამდენიმე საპრიზო ადგილი აიღეს: ჯ. მეგრელიშვილი (მძიმე წონა) II ადგილზე გავიდა, ხოლო ჯ. გალდავა (პირველი საშუალო) და ლ. ხართიშვილი (პირველი ქვესაშუალო) — III.

## 20-45

◆ ლიმა, 10 თებერვალი. მსოფლიოს IX საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალისტთა — პერუსა და რუმინეთის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩს 45 ათასი მაყურებელი დაესწრო. დაძაბული შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1 (0:1). 14 და 18 თებერვალს პერუს ნაკრებს საბჭოთა ფეხბურთელები ეთამაშებიან.

# გულგრილობის გასაღები

ღლევანდელი წერილის დაწერის მიზეზი მკითხველისთვის ნათელი რომ გახდეს, ამბავი იქიდან უნდა დავიწყოთ, როცა დიღმის მასივის სკოლებში ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბის გამგეობამ და თბილისის ფიზკულტურის დისპანსერმა 800-მდე მოზარდში ხერხემლის გამრუდება გამოიკვლიეს. ცხადია, ამ საგანგაშო ფაქტის მიმართ უყურადღებოდ ვერავინ დარჩებოდა. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვეტილება გამოიტანა, რომ III კვარტალის VI „ვ" კორპუსში (შენობა რკინიგზის მე-13 სახლმმართველობას ეკუთვნის) სპორტული დარბაზისთვის დაუყოვნებლივ გამოეყოთ 270 კვ მ არასაცხოვრებელი ფართობი. პატარებზე ზრუნვით დაინტერესებული ორგანიზაციები სიხარულით ცას ეწიენ. პირველი მაისის რაიონის სარემონტო კონტორამ რემონტის ჩატარება ითავა, თბილისის ფიზკულტურის საექიმო დისპანსერმა — ტანვარჯიშის დარბაზის აღჭურვა და შტატის შენახვა, „დინამოს" რესპუბლიკურმა საბჭომ საჭადრაკო ოთახის მოწყობა...

მე-18 სახლმმართველობისა და 90-ე საბინაო-საექსპლოატაციო კონტორის (ბინა მათ გადაეცათ) წარმომადგენლები მალე ოფიციალურად შეხვდნენ აღნიშნულ ბინაში ერთმანეთს, აზომ-დაზომეს, მიღება-ჩაბარების აქტი შეადგინეს, ხელშეკრულებაც გაფორმდა. მერე დაიანგარიშეს და საიჯარო თანხამ წლიურად 1302 მანეთი შეადგინა. ეს იყო და ეს. მას შემდეგ ორი წელი გავიდა, იმ შენობაში ახალ მეპატრონეთაგან კი ჯერაც არავის შეუდგამს ფეხი.

— რატომ არ იყენებთ თქვენთვის გამოყოფილ შენობას? — ვკითხეთ 90-ე საბინაო-საექსპლოატაციო კონტორის უფროსს გ. კასარელს.

— მიღება-ჩაბარების აქტი ყოფილმა უფროსმა დ. ჭოლიკიშვილმა გააფორმა. ალბათ მისთვის გასაღები არ ჩაუბარებიათ, თორემ თავის მხრივ მეც გადმომაბარებდა, — გვიპასუხა მან.

კასარელმა პედაგოგ-ორგანიზატორი ა. ბეჟანოვი დაიმოწმა: მე-13 სახლმმართველობის მმართველი ლ. კიკნაძე მუდამ უარით გვისტუმრებს — გასაღები მე არა მაქვს და არც ის ვიცი, ვისთან არისო.

კიკნაძემ თავის მხრივ ცა და ქვეყანა დაიმოწმა: ტყუილი უთქვამთ, გასაღები ბინის ახალმა მეპატრონეებმა შენობის მიღებისთანავე ჩაიბარესო.

„ჭოლიკიშვილი! ახლა მხოლოდ მისგან თუ შეიძლება სიმართლის გაგება", — ამ ფიქრით შევაღე მე-17 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორის კარი (ჭოლიკიშვილი ამჟამად აქ მუშაობს უფროსად). მასპინძელმა ჯერ ცნობისთვის მისულ მობინადრედ მიმიღო, მერე, რომ გავეცანი და გასაღების ბედი მოვკითხე, ჩაფიქრდა. იფიქრა, იფიქრა და... იმ შენობას კარი სულაც არ ჰქონდაო (!), მომიგო.

— კი, მაგრამ, მაშინ ხომ დროებით რამდენიმე კაცი ცხოვრობდა იმ შენობაში? — შევახსენე მე.

— მართალია, კარი, მგონი, ჰქონდა, მაგრამ, უგასაღებოდ, რაღაც ჯოხით კეტავდნენ, — უკან აღარ დაიხია ჩემმა თანამოსაუბრემ.

მინდა ბოლომდე ჩავწვდე საქმის ვითარებას. მაგრამ ჭოლიკიშვილი სიტყვას ბანზე მიგდებს. სამაგიეროდ, გატაცებით მიამბობს, როგორ მოაწყვეს მისი თაოსნობით ახალი წლის დღეებში მობინადრეებისთვის ზღაპრული ნაძვის ხე, მთავაზობს ჩვენი გაზეთის მკითხველებსაც გადავცე მისი ნაამბობი, თან „ისე" კი არ მინდა „მალარიჩი" ჩვენზე იყოსო. შემდეგ იგი წერილის სათაურსაც მირჩევს.

იქნებ ყოველივე ეს სათქმელადაც არ ღირდა, მაგრამ ჭოლიკიშვილის ქცევაში სწორედ ის გულგრილი პიროვნება შევიცანი, რომელმაც ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილება არაფრად ჩააგდო და ახლაც სულ ერთია მისთვის მოზარდების ბედი.

ჭოლიკიშვილსა და კასარელზე ჭკვიანი კიკნაძე გამოდგა. ჯერ ერთი, მე-13 სახლმმართველობა ორი წელია სრულად იღებს მოიჯარისგან გადასახადს. უფრო მეტიც, 90-ე საბინაო-საექსპლოატაციო კონტორამ 1968 წელს დამატებით გათბობის (!), წყლის (!) და სინათლის (!) ხარჯებიც დიდი სიამოვნებით გაიღო.

კასარელი და მისი მთავარი ბუღალტერი ჩვენთან საუბარში ერთობ სიტყვაძუნწობდნენ. სადაც თავი მართალი ეგონათ, ხმამაღლა თქვეს: თანხებს უსაფუძვლოდ გვართმევენ, ეს ამბავი რაიონის აღმასკომსაც შევატყობინეთო. სხვა დროს სდუმდნენ. კიდევ კარგი, რისი თქმაც მათ არ ისურვეს, რკინიგზის სამმართველოში შემონახულმა დოკუმენტებმა გაგვანდო. მაგალითად, 1968 წლის 30 დეკემბერს კიკნაძე რკინიგზის სამოქალაქო შენობების უფროსს ა. ქოქრაშვილს სწერს: მოიჯარენი ბინას არ იყენებენ, ირგვლივ ანტისანიტარიააო.

ამავე დღეს კიკნაძე ასეთი შინაარსის „ფირმანს" იღებს კასარელისგან: „გაფრთხილებთ, რომ არ იქნება თქვენს მიერ ჩამოწერილი საიჯარო ქირა ჩვენს ანგარიშიდან III კვარტალის VI „ვ" კორპუსის პირველი სართულის თავისუფალ სათავსოზედ 1969 წლის 1 იანვრიდან, ვინაიდან ჩვენს შორის დადებულ ხელშეკრულებას უთავდება ვადა მ. წ. 31 დეკემბერს და არც არის ჩვენს მიერ გამოყენებული თქვენი სათავსო" (ავტორის სტილი აქაც და შემდეგაც დაცულია. — რედ.).

1969 წლის 15 იანვარი. კიკნაძე თავის უფროსებს წერილობით უთვლის: „შენობა დღემდის ცარიელია. მოიჯარეებს ხელშეკრულების განახლება აღარ სურთ. გთხოვთ თქვენს განკარგულებას შენობის სხვაზე გადასაცემათ".

1969 წლის 11 მარტი. ბრძანებით, შენობა იქვე მეზობლად მდებარე საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს გადაეცა (დღემდე არც მისი წარმომადგენლები შესულან ამ ბინაში) და ამის შესახებ ქალაქის აღმასკომსაც ეცნობა.

ხედავთ? კასარელმა შეგნებულად განაცხადა უარი ბინაში შესვლაზე, კიკნაძე კი ამის შემდეგაც ითხოვდა მისგან საიჯარო თანხას. მოთხოვნა უსიტყვოდ სრულდებოდა.

გასაკვირია, რომ ამდენ ფულს ქარს ატანდნენ და ერთი ახალი გასაღები კი ველარ იყიდეს.

უნდა გითხრათ, რომ იმ გასაღების ბედი, რომელსაც ერთ თვეზე მეტ ხანს ასე გულმოდგინედ ვეძებდით, დღემდე ისევ საიდუმლოებითაა მოცული. თუმცა, როგორც გავიგეთ, ვისაც სჭირდება, კარს კი არა, მთელს სადარბაზოს აღებს თურმე ამ შენობაში ქორწილებისა და დღეობების გასამართავად.

იქნებ ჯერ კიდევ არ არის გვიან, იქნებ დიღმის მასივში დაკარგული გასაღების ამბავიც ოქროს გასაღების თავგადასავალივით ბავშვებისთვის კეთილად დასრულდეს?

თ. ბაჩეჩილაძე.





ამას წინათ ბაკურიანში გაიმართა საქართველოს ზამთრის III სპარტაკიადა.

სურათებზე: ზევით — სლალომის ტრასაზეა ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამეკურსელი ვ. მიქაბერიძე (თბილისი, „კოლმეურნე"); ქვევით — თბილისის გუნდის წევრი ა. კაზაკოვა („ბურევესტნიკი") 5 კილომეტრზე რბენის დროს.

ფოტო ო. გელაშვილისა. (ჩვენი სპეც. კორ.).

## 20-45

◆ ბერლინი, 10 თებერვალი. ცსკა-ს ფრენბურთელ ქალთა გუნდი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩაება. პირველ მერვედფინალურ მატჩში მან სძლია ადგილობრივ „დინამოს" — 3:0 (15:1, 15:12, 15:8). საპასუხო შეხვედრა — 12 თებერვალს მოსკოვში.

◆ ბუდაპეშტი. 10 თებერვალი. ფაშისტური უღლისგან უნგრეთის დედაქალაქის გათავისუფლების 25 წლისთავს ეძღვნება აქ დაწყებული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 9 დიდოსტატი თამაშობს: ი. ავერბახი, პ. კერესი, ა. სუეტინი, რ. ხოლმოვი (ყველა — სსრ კავშირი), ბ. ივკოვი (იუგოსლავია), ფ. გეორგიუ (რუმინეთი), ლ. პორტიში, ლ. საბო, ლ. ბარცაი, ლ. ლენდიელი (ყველა — უნგრეთი). ამათ გარდა, შეჯიბრებაში მონაწილეობს 5 საერთაშორისო და 1 ეროვნული ოსტატი. II ტურის შემდეგ 2-2 ქულა აქვთ კერესს, პორტიშსა და საბოს. კერესმა ჯერ უნგრელი ი. ჩომა დაამარცხა, მერე — სუეტინი. სუეტინსა (მოუგო ახალგაზრდა უნგრელ ოსტატ ადორიანს) და ავერბახს (ორი ყაიმი — ლენდიელთან და ჩომასთან) თითო ქულა აქვთ. ხოლმოვმა ორივე შეხვედრა წააგო (პორტიშთან და საბოსთან). წინ 13 ტურია.



### აუზი საცხოვრებელ სახლში

ეს პატარა აუზი ხარკოვის ნორჩი მოსახლეობისთვის № 2 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორამ ააგო. აუზი მოწყობილია საცხოვრებელ სახლში ყოფილი საწყობის ადგილზე და აქვს ტანვარჯიშული დარბაზი, საშხაპეები, გასახდელები, დასვენების ოთახი.

ახლა აუზში 800-ზე მეტი ბავშვი სწავლობს ცურვას.

სურათზე: ნორჩ მოცურავეთა მორიგი ვარჯიში.

ფოტო ა. დლუგაჩისა (ტას-ი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი რეკორდები ჯანმრთელობაა!

ქვეყნის ძლიერება სხვადასხვაგვარად ფასდება: წლის განმავლობაში გამოდნარი ფოლადისა თუ გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობით, მოპოვებული სასარგებლო მადნეულის სიმდიდრით. მაგრამ არის კიდევ ერთი ისეთი კრიტერიუმი, როგორიცაა მოსახლეობის ჯანმრთელობა. მაგალითად, საბჭოთა კავშირს ეკუთვნის მსოფლიოში პირველობა მოსახლეობაში გამაჯანსაღებელი მუშაობის მხრივ. ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მსოფლიოში ერთადერთი ფედერაცია სწორედ ჩვენს ქვეყანაშია. იგი არსებობს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საკავშირო საბჭოსთან. ამ ფედერაციის თავმჯდომარეა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი თ. პრესი. საკდესის კორესპონდენტმა ვ. კუკუშკინმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.

**● როგორია თქვენი ფედერაციის ძირითადი ამოცანა?**

— ჩვენი მიზანია ფიზკულტურა შევიტანოთ ყველა ოჯახში, რათა იგი ჯანმრთელობის განმტკიცების აქტიურ საშუალებად იქცეს. ახლახან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მეცნიერების განვითარების შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები. აქ დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას მოსახლეობაში. რათა ეს დადგენილება რეალობად იქცეს, ჩვენს ფედერაციაში ერთად მუშაობენ მეცნიერები და ფიზიკური კულტურის პრაქტიკოსები. მათ შორის არიან ფიზკულტურის სამედიცინო პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ი. მურავოვი, პროფესორი ს. ლეტუნოვი, კრასნოგორსკის მექანიკური ქარხნის „ჯანმრთელობის საამქროს" უფროსი ი. ანტონიჩევი...

ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი საქმეა მშრომელთა დასვენების ორგანიზაცია. დასვენება უნდა შეგეძლოს! 1969 წლის ზაფხულის სეზონში საბჭოთა კავშირში თითქმის 10 ათასი გამაჯანსაღებელი ბანაკი მუშაობდა (1965 წელს, როცა ჩვენი ფედერაცია შეიქმნა, მათი რიცხვი 2 ათასზე ნაკლები იყო). შარშან ჯანმრთელობის ამ ცენტრებში დაისვენა 5 მილიონზე მეტმა კაცმა. გვინდა მივაღწიოთ, რომ შაბათი და კვირა ყველგან ჯანმრთელობის დღეებად იქცეს. ახლა საწარმოების უმეტესობაში მიღებულია ენერგიული ზომები საზაფხულო პიონერული ბანაკების რეკონსტრუქციის მიზნით. ამ ბანაკების შენობები შემოდგომით, ზამთარში და გაზაფხულზე მშრომელთა დასვენების ბაზებად უნდა იქცეს.

**● ხომ ვერ გვიამბობდით ფედერაციის წლევანდელ გეგმებზე?**

— ფედერაციის მორიგ პლენუმზე განხილული იქნება საკითხები საწარმოო ტანვარჯიშის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებებში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის დონის ამაღლების შესახებ. ვიმსჯელებთ აგრეთვე კომუნარსკის მეტალურგიული ქარხნის „ჯანმრთელობის საამქროს" მუშაობის გამოცდილებაზე. ფედერაციის პლენუმზე ესტონეთის სპორტსაზოგადოება „კალევის" წარმომადგენლები გვიამბობენ ფიზკულტურის კოლექტივებში ქალთა ტანვარჯიშის ჯგუფების მუშაობის გამოცდილებაზე. მოვისმენთ, როგორ ემზადებიან ფიზკულტურული ორგანიზაციები და სპორტული ბაზები საგაზაფხულო და საზაფხულო მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისთვის, რა მდგომარეობაშია საწარმოო ტანვარჯიში ხარკოვის ოლქის საწარმოებში. ფედერაცია დახმარებას გაუწევს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოს კომისიებს საუკეთესო ფიზკულტურული კოლექტივების გამოცდილების გავრცელებაში. ფედერაციის წევრები ხშირად ჩავლენ ადგილებზე, რათა დაეხმარონ მეთოდურ საბჭოებსა და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის კომისიებს. გარდა ამისა, ფედერაცია მონაწილეობას მიიღებს ადგილზე ორიენტირებაში, ქალთა ტანვარჯიშში, ზამთრის ცურვასა და საწარმოო ტანვარჯიშში, საკავშირო შეჯიბრებების ჩატარებაში, დახმარებას გაუწევს შუა აზიისა და ყაზახეთის ქალთა II სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტს.

**● როგორ არის თქვენი გასული წლების თაოსნობის — საწარმოო ტანვარჯიშისა და „ჯანმრთელობის ჯგუფების" მუშაობის საქმე?**

— საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა „ჯანმრთელობის ჯგუფების" პოპულარობაზე ყველაზე უკეთ მომეცადინეთა რიცხვი მეტყველებს: ახლა ამ ჯგუფებში 2,5 მილიონზე მეტი კაცია ჩაბმული. ხუთი წლის წინ კი „ჯანმრთელობის ჯგუფები" თითებზე ჩამოსათვლელი იყო. ახლა ჩვენი მიზანია მათი რიცხვის კიდევ უფრო გაზრდა. ფედერაცია მონდომებას არ იშურებს, რათა „ჯანმრთელობის ჯგუფების" განკარგულებაში იყოს სათანადო სპორტული მოედნები, პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს დადგენილების შესაბამისად. მაგალითად, დნეპროპეტროვსკის ცალკეულ საწარმოებში ეს ჯგუფები იმდენად პოპულარულია, რომ მათში თითქმის ყველა მუშა-მოსამსახურეა ჩაბმული. მაგალითს თვით საწარმოთა და საამქროების ხელმძღვანელები იძლევიან. აქ ფიზკულტურის სპეციალისტები მედიკებთან კავშირში მუშაობენ და ამიტომ კარგ შედეგებსაც აღწევენ.

ამჟამად საწარმოო ტანვარჯიშის დიდი მნიშვნელობა საყოველთაოდ აღიარებულია. ჩვენს ფედერაციაში მომუშავე მეცნიერები, ეკონომისტები და ფიზკულტურის მუშაკები ცდილობენ კონკრეტულად დაადგინონ, როგორ გამოიხატება „ხუთწუთიანის" ეფექტი. ყველაზე მეტად საწარმოთა ხელმძღვანელებს ფიზკულტურით მოტანილ სარგებლობაში ციფრები აჯერებენ. მაგალითად შემიძლია დავასახელოთ ვოროშილოვგრადის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ორთქლმავალმშენებელი ქარხნის გამოცდილება. ამ საწარმოში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა მაღალ დონეზე დგას. შედეგი: ერთი წლის მანძილზე მუშებს შორის ავადმყოფობამ 12 პროცენტით იკლო. სხვა სიტყვებით — ქარხანამ მნიშვნელოვანი შემოსავალი მიიღო.

რაც შეეხება უშუალოდ საწარმოო ტანვარჯიშს, ჩვენ ვიბრძვით მისი ყველგან დანერგვისთვის. მართალია, არის მრეწველობის დარგები, სადაც განსაკუთრებით ძნელია საწარმოო ტანვარჯიშის ორგანიზაცია. როგორც ჩანს, საჭიროა დამუშავდეს ვარჯიშების სპეციალური ინდივიდუალური კომპლექსი ამ დარგებში მომუშავეთათვის.

სხვათა შორის, საწარმოო ტანვარჯიშს დღეს 13 მილიონზე მეტი კაცი მისდევს, ხოლო მუშაობას 29 ათასი ინსტრუქტორ-მეთოდისტი ხელმძღვანელობს.

**● რა დახმარებას უწევენ თქვენს ფედერაციას სპორტული საზოგადოებები?**

— უნდა გითხრათ, რომ ამ ბოლო დრომდე ეს დახმარება უმნიშვნელო იყო. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ახლა, მას შემდეგ, რაც პროფკავშირმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო, მდგომარეობა არსებითად შეიცვლება. მხოლოდ სათანადო პირობები მოგვცემს შესაძლებლობას, მოვაწყოთ, მაგალითად, სრულფასოვანი სპორტული კომპლექსები საბინაო-საექსპლოატაციო კონტორებთან. სპორტსაზოგადოებებმა უნდა გაგვიწიონ როგორც მეთოდური, ისე ორგანიზაციული და მატერიალური დახმარება. გვინდა მივაღწიოთ, რომ უმაღლესი თანრიგების სპორტსმენთა საწვრთნელ მეცადინეობებზე გამოუსადეგარი ინვენტარი შემდეგ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს გადაეცეს. თავის მხრივ, ფედერაცია დაეხმარება „სპარტაკს" ძირეულ კოლექტივებზე შეფობაში (ეს საზოგადოება ერთ-ერთი ყველაზე მასობრივია ჩვენს ქვეყანაში).

გვაქვს კომკავშირის მხარდაჭერის იმედი. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით საბჭოთა კავშირში ტარდება კომკავშირელთა და ახალგაზრდობის გამოცდა თავდაცვით-სპორტულ მუშაობასა და სამხედრო-ტექნიკურ მომზადებაში. ამ დათვალიერების შედეგად ფიზკულტურელთა რიგებს შეუერთდება კიდევ ასეული ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი, შეივსება ფიზკულტურის აქტივისტთა რაზმი, და ისინი ჩვენი ფედერაციის დიდი დამხმარენი იქნებიან.

**● საწარმოებში, მშენებლობებზე და სასწავლებლებში უკვე პოპულარული გახდა „ჯანმრთელობის სპარტაკიადები". რა მასშტაბები აქვს ამ შეჯიბრებას?**

— შარშან ჯანმრთელობის სპარტაკიადებში 10 მილიონმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. ეს არ არის შეჯიბრება მსაჯთა დიდი ბრიგადებით, წამმზომებითა და მეტრმზომებით. ესაა შეხვედრები ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ბაგირის გადაძალვაში. შეჯიბრებები უნდა ჩატარდეს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და გამარტივებული წესებით ქალაქის პარკებში ან დასვენების ქალაქგარე ბაზებში. ამ საქმეში ყოველმა საწარმომ და დაწესებულებამ რაც შეიძლება მეტი თაოსნობა უნდა გამოიჩინოს.

**● თქვენ ყველა გიცნობთ, როგორც ოლიმპიურ ჩემპიონს, სპორტსმენს, რომელიც უდიდეს შეჯიბრებებში გამოდიოდა. და აი, ახლა გახდით თავმჯდომარე ფედერაციისა, რომელიც დიდი სპორტისგან შორს დგას.**

—ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს, თითქოს ჩვენი ფედერაცია სპორტისგან ასე დაშორებული იყოს. ჩვენი საბოლოო მიზანია და გვჯერა, რომ მას მივაღწევთ, ფიზკულტურა თითოეული ადამიანის მოთხოვნილებად ვაქციოთ. ეს იქნება ყველაზე დიდი წვლილი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებისა და, აგრეთვე, დიდი სპორტის განვითარების საქმეში. მასობრიობა — აი, სპორტის საფუძველი!

# სოფლის სპორტსმენთა დიდი ფორუმის წინ

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებას, მათ შორის, მასობრივფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომ განვითარებას.

ამ მზრუნველობის ნათელ მაგალითს წარმოადგენს კოლმეურნეთა III საკავშირო ყრილობაზე მიღებული კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება, სადაც ხაზგასმით არის ნათქვამი: „კოლმეურნეობა ახორციელებს კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებებს, ყოველდღიურად ზრუნავს კოლმეურნეობის წევრებისა და მათი ოჯახების ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ფიზიკური აღზრდისთვის..."

ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა და მათი ოჯახის წევრებს შორის მტკიცედ დამკვიდრდა ფიზიკური კულტურა და სპორტი. სამუშაოდან თავისუფალ დროს ისინი მეცადინეობენ სპორტულ წრეებსა თუ სექციებში, ატარებენ მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, მონაწილეობენ სპარტაკიადებსა და სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში. სწორედ ამან განაპირობა, რომ დღეისთვის სოფლად ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულთა რიცხვი რესპუბლიკის ფიზკულტურელთა ერთ მეოთხედს შეადგენს.

საგრძნობლად ამაღლდა „კოლმეურნის" სპორტსმენთა ოსტატობისა და ტექნიკური მაჩვენებლების დონე. რესპუბლიკის სოფლის წარმომადგენლებს ვხვდებით სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორთა რიგებში.

აღსანიშნავია, რომ შარშან „კოლმეურნის" სპორტსმენებმა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში ოქროს 17, ვერცხლის 11 და ბრინჯაოს 13 მედალი მოიპოვეს.

მეხიკოს ოლიმპიური თამაშების პირველმა პრიზიორმა რ. რურუამ მესამედ მოიხვეჭა მსოფლიო ჩემპიონის მაღალი ტიტული კლასიკურ ჭიდაობაში. მსოფლიო პირველობის პრიზიორები გახდნენ თავისუფალ ჭიდაობაში ნ. ხოხაშვილი და ძიუდოში ახალგაზრდა გოლიათი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. ონაშვილი. დიდი წარმატებებით გამოდიან ჩვენი საზოგადოების ნაკრები გუნდები თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში, ცხენოსნობაში, მძლოსნობაში და სხვ.

მარტო შარშან „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ ჩაატარა 30 რესპუბლიკური პირველობა. ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ 42 რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო ღონისძიებაში.

ყოველივე ამან, აგრეთვე, საოლქო, რაიონულმა და ფიზკულტურის კოლექტივებში ჩატარებულმა შეჯიბრებებმა უზრუნველყო დიდი ოქტომბრის რევოლუციის 52-ე წლისთავის დღესასწაულისთვის სპორტის ოსტატების, მშთ ნიშნოსნების და თანრიგოსანთა მომზადების გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს სოფლად სპორტბაზებისა და ნაგებობათა მშენებლობის მიზნით. ჩვენი ამოცანაა უახლოეს წლებში არ დარჩეს არც ერთი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა ან სოფლის მეურნეობის საწარმო-დაწესებულება, რომელსაც რაიმე სახის სპორტნაგებობა არ ექნება.

სოფლის მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში კარგი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ზუგდიდის („კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე შ. ჩანგელია), მახარაძის (კ. გოგატაძე), სამტრედიის (ჯ. ვაშაკიძე), თელავის (ვ. გაგნიძე), გურჯაანის (შ. არუთინაშვილი), კასპის (გ. ოთარაშვილი), ზესტაფონის (ნ. კაკაურიძე) რაიონების, აფხაზეთის (შ. მიქელაძე), აჭარის (თ. ბოლქვაძე) ორგანიზაციები.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ მახარაძის რაიონის ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (გამგეობის თავმჯდომარე გ. წითლიძე), ბათუმის რაიონის სოფელ ანგისის კოლმეურნეობა (ო. შავიძე), წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობა (ა. კობაიძე), გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ი. კავილაძე), ზუგდიდის რაიონის ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობა (გ. შონია), ახალციხის რაიონის აწყურის საბჭოთა მეურნეობა (ნ. სარჯველაძე), დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი (პ. მიქაძე).

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა სასურველ დონეზე არ დგას; სპორტული მოედნები უპატრონოდაა მიტოვებული, იშვიათად ტარდება შეჯიბრებები და მასობრივი ღონისძიებანი. სამწუხაროდ, ყოველივე ამას გულგრილად შეჰყურებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ამ საქმეში არანაკლები ბრალი მიუძღვით „კოლმეურნის" რაიონულ საბჭოებს, რომელთა უშუალო მოვალეობაა ადგილობრივ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინონ და სათანადო დახმარება გაუწიონ ფიზკულტურის კოლექტივებს სოფლის მშრომელთა და მათი ოჯახის წევრებს შორის მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებაში.

1970 წელი ჩვენი რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენთა წინაშე დიდსა და საპატიო ამოცანებს სახავს. ამ წელს ჩატარდება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო სოფლის სპორტული თამაშები სპორტის ათ სახეობაში. ამ დიდ ფორუმს წინ უნდა უსწრებდეს სპარტაკიადები და მასობრივი შეჯიბრებები ფიზკულტურის კოლექტივებში, რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური სასოფლო სპორტული თამაშები. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ღონისძიება წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის წინამოსამზადებელ ეტაპს.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა, კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება. დამტკიცებულია რესპუბლიკური სოფლის სპორტული თამაშების დებულება. დადგენილება ადგილობრივ ფიზკულტურის კომიტეტებს, კომკავშირისა და პროფკავშირის რაიკომებს, „კოლმეურნის" რაისაბჭოებს, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებს ავალებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების მაღალ ორგანიზაციულ და სპორტულ დონეზე ჩატარებაში. საჭიროა სპარტაკიადები და შეჯიბრებები ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ტექნიკუმში, სოფლის მეურნეობის საწარმო-დაწესებულებაში გაიმართოს. სარბიელზე უნდა მივიზიდოთ სოფლის მეურნეობის რაც შეიძლება მეტი მშრომელი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა. ამასთან, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს არსებული სპორტნაგებობების მოწესრიგებასა და ახალი ბაზების მშენებლობას.

როგორც ცნობილია, სოფლის სპორტსმენთა 1968 წლის საკავშირო სპორტულ თამაშებში საქართველოს ნაკრებმა რუსეთისა და უკრაინის კოლექტივების შემდეგ III საერთო გუნდური ადგილი დაიკავა. ჩვენმა გუნდებმა ცალკეულ სახეობათა მიხედვით 12 სპეციალური პრიზი ჩამოიტანეს. ეს, რა თქმა უნდა, კარგი შედეგია, რაზეც ბევრი ითქვა და დაიწერა. ამჟამად ჩვენს ამოცანას შეადგენს ხელიდან არ გავუშვათ მოპოვებული წარმატება, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებითა და აქტიური მონაწილეობით კარგად მოვამზადოთ ნაკრები გუნდები და წარმატებით გამოვიდეთ საკავშირო სასოფლო სპორტულ თამაშებში.

**შ. სუხიშვილი,**
„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

## [illegible]

### ◆ სოხუმი

აფხაზეთის სოფლის სპორტსმენთა თამაშების პროგრამით გაიმართა შეჯიბრება შაშში. გუნდური პირველობა მოიპოვა გალის რაიონის ნაკრებმა, II ადგილზეა გულრიფშის, ხოლო III — სოხუმის რაიონის კოლექტივი. პირად ჩათვლაში იმარჯვეს: ქალებში — ვ. გამსახურდიამ (გალი), ვაჟებში — ვ. ქირიამ (გულრიფში).

**გ. იაშვილი.**

### ◆ წითელწყარო

რაიონის მოშაშეთა პირველობაში ყველას აჯობეს არბოშიკელებმა: მათ გუნდურ ჩათვლაშიც იმარჯვეს და პირადშიც (ზ. ალადაშვილი). II და III ადგილებიც არბოშიკელებმა პ. პოპიაშვილმა და ზ. კობაიძემ დაისაკუთრეს.

**გ. კაკალაშვილი.**

### ◆ კასპი

„კოლმეურნის" რაისაბჭოს მოშაშეთა პირად-გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს ახალქალაქის წარმომადგენლებმა. II ადგილზე არიან ქვემო გომის, III — ზემო ხანდაკის მოშაშეები. პირად ჩათვლაში თავი ისახელეს: ვაჟთა შორის — რ. შაველაშვილმა, ქალებში — მ. ხორგუაშვილმა.

**ლ. ელისაბედაშვილი.**

### ◆ ოჩამჩირე

დამთავრდა მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა მე-2 საშუალო სკოლის კოლექტივმა.

**რ. ჟიდია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ყველას აჯობა ჟენევაში, სადაც გაიმართა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში.

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები.

ფოტო ე. კორჟევისა (საქტეს).

# დღეს და ხვალ

გაიმართება კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური ტურნირების მატჩები. „ა" ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი — ესპანეთის „რეალი" სტუმრად ითამაშებს ბელგიის „რესინგთან". ესპანელმა კალათბურთელებმა შინ პირველი მატჩი მოიგეს, მაგრამ სხვაობა არც ისე საიმედოა (10 ქულა). „რესინგს", რომელიც ასევე ლიდერია ჯგუფში, რევანშისთვის სულ ცოტა 11 ქულით მოგება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ორი შეხვედრის ჯამში გამარჯვება „რეალს" დარჩება.

ჩეხოსლოვაკიის „სლავიისა" და ბულგარეთის „აკადემიკის" ორთაბრძოლაში ჯერჯერობით უპირატესობა ჩეხოსლოვაკიელი კალათბურთელი ვაჟების მხარესაა, რომლებმაც შინ 22 ქულით გაიმარჯვეს. ახლა სიტყვა სოფიის მატჩზეა. წარმატების შემთხვევაში „სლავიას" კიდევ ექნება შანსი იბრძოლოს ნახევარფინალში გასასვლელად.

დღეისთვის ამ ჯგუფის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „რესინგი" (ბელგია) | 3 | 2 | 1 | 211—208 | 2 |
| „რეალი" (ესპანეთი) | 3 | 2 | 1 | 251—228 | 2 |
| „სლავია" (ჩეხოსლოვაკია) | 3 | 2 | 1 | 245—236 | 2 |
| „აკადემიკი" (ბულგარეთი) | 3 | 0 | 3 | 198—228 | 0 |

როგორც უკვე ვიუწყებოდით, „ბ" ჯგუფის ლიდერმა ცსკა-მ პირველი შეხვედრა მოსკოვში მოუგო იტალიის ჩემპიონს „იგნისს". საპასუხო მატჩი, რომელიც დღეს გაიმართება ვარეზეში, საბოლოოდ გაარკვევს ამ გუნდების ურთიერთობას. ძნელი დასაჯერებელია, რომ საბჭოთა კალათბურთელებმა დათმონ 23-ქულიანი უპირატესობა.

სამაგიეროდ, არაფერ სახარბიელოს უქადის მატჩ-რევანში იუგოსლავიის ჩემპიონ „ცრვენა ზვეზდას". საქმე ის გახლავთ, რომ ბელგრადელებმა შინ დიდი გაჭირვებით დაამარცხეს საფრანგეთის „ვილერბანი" (1 ქულით). ამდენად, მეტოქის მოედანზე მათი გამარჯვება ერთობ საეჭვოა.

დღეისთვის „ბ" ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა (სსრ კავშირი) | 3 | 3 | 0 | 273—234 | 3 |
| „იგნისი" (იტალია) | 3 | 2 | 1 | 232—222 | 2 |
| „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) | 3 | 1 | 2 | 250—265 | 1 |
| „ვილერბანი" (საფრანგეთი) | 3 | 0 | 3 | 214—248 | 0 |

# ჩემპიონი მეთორმეტედ

მაგიდის ჩოგბურთში აჭარის პირადმა პირველობამ 64 მოასპარეზე მიიზიდა — 32 ქალი და ამდენივე ვაჟი. შეჯიბრება ნახევრადოლიმპიური სისტემით ტარდებოდა. წინასწარი ტურნირის შემდეგ 8 უძლიერესმა ქალმა წრიული სისტემით გაითამაშა პირველობა. როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვებისთვის უმთავრესად იბრძოდნენ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ს. პარფინიდი და ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატი, ბათუმის მე-10 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე გ. ლევინა. თამაში თავიდანვე გამოცდილი ოსტატის პარფინიდის უპირატესობით წარიმართა და მისივე მოგებით დამთავრდა — 21:16, 21:17. აღსანიშნავია, რომ პარფინიდიმ მეთორმეტედ დაისაკუთრა აჭარაში უძლიერესის სახელი. II ადგილზე ლევინა დარჩა.

III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში ოსტატობის კანდიდატმა ლ. კაპლანიანმა დაამარცხა ჟ. მაისურაძე — 21:18, 21:19.

დიდი ინტერესი გამოიწვია ვაჟთა შეჯიბრებამაც. ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მე-10 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე, ოსტატობის კანდიდატი გ. სარხოიანი და გ. გუგუშვილი. საინტერესო ბრძოლაში იმარჯვა სარხოიანმა — 21:16, 17:21, 21:18.

III ადგილი წილად ხვდა ლ. პასტიანიდის.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

# უველგან ასე როდია

ზუგდიდის რაიონში დიდი ყურადღება ეთმობა სპორტული ბაზების კეთილმოწყობას. ამ ბოლო ხანს სოფლის ახალგაზრდობამ საკუთარი ძალებით მოაწყო სპორტმოედნები რუხის, ორსანტიის, დარჩელის, კორცხელისა და ჭკადუაშის კოლმეურნეობებში, ხეცერისა და ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის ზედა ეწერში მწყობრში ჩადგება ფეხბურთის სტადიონი, რომელსაც ექნება ტრიბუნები 5 ათასი მაყურებლისთვის. ამ მნიშვნელოვანი თარიღისთვის დამთავრდება კომპლექსური მოედნების მშენებლობა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში და ფაბრიკაში. ამ ორგანიზაციებში ხშირად ეწყობა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები.

მაგრამ ყველგან ასე როდია. მაგალითად, ტყაიის, გრიგოლიშის, ნარაზენის, დიდინეძის კოლმეურნეობებში ფიზკულტურული მუშაობა დაბალ დონეზე დგას. კომკავშირული ორგანიზაციები და ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოები სრულიად არ ზრუნავენ მოედნების კეთილმოწყობისთვის. აღნიშნულ კოლექტივებში შარშან არც ერთი შეჯიბრება არ ჩატარებულა.

გ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

# ჰოლანდიური შთაბეჭდილებები

*ამ ორი დღის წინ ჰოლანდიიდან თბილისში დაბრუნდა სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ნ. ალექსანდრია. მან მონაწილეობა მიიღო ვეიკ-ან-ზეეს ქალთა საერთაშორისო ტურნირში, სადაც ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა. გუშინ „ლელოს" საჭადრაკო მიმომხილველი თ. გიორგაძე შეხვდა სახელოვან მოჭადრაკეს, მიულოცა წარმატება და ესაუბრა მას.*

● **რა თავისებურებებით ხასიათდებოდა ვეიკ-ან-ზეეს წლევანდელი საჭადრაკო ფესტივალი?**

— იგი ისეთივე იყო, როგორც ყველა წინა. მხოლოდ მესამე წელია ფესტივალი ვეიკ-ან-ზეეში ტარდება. ეს ზღვისპირა აგარაკი ბევერვეიკიდან — ფესტივალის ყოფილი რეზიდენციიდან 5 წუთის სავალზეა ავტობუსით.

ფესტივალის პროგრამაში ძირითადი იყო დიდოსტატთა, ოსტატთა და ქალთა საერთაშორისო ტურნირები. გაიმართა, აგრეთვე, ვაჟთა ორი შესარჩევი ტურნირი. ამ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი გაისად ოსტატთა შეჯიბრებაში მიიღებენ მონაწილეობას. სხვათა შორის, ვაჟთა ერთ ტურნირში რუმინელი მოჭადრაკე ქალი ა. ნიკოლაუც თამაშობდა. მან II-III ადგილები გაიყო შვეიცარიის ჩემპიონ ლომბარდისთან.

მასპინძლობის ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. მთავარი ტურნირის მონაწილენი ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით, იქვე ვთამაშობდით. ყველა ტურნირი (სულ ათამდე შეჯიბრება ჩატარდა) ერთდროულად მიმდინარეობდა.

● **ფესტივალი ადრე — 12 იანვარს დაიწყო, თქვენ დაგვიანებით რატომ ჩახვედით?**

— ვაჟთა ტურნირები დაიწყო ადრე. ჩვენ 18 იანვარს შევუდექით ბრძოლას იმ ანგარიშით, რომ ყველა ტურნირი 31 იანვარს დამთავრდებოდა.

● **ვინ თამაშობდა თქვენს ტურნირში?**

— 12 მონაწილე ვიყავით: ბულგარეთის ჩემპიონი ვ. ასენოვა, რუმინეთის ჩემპიონი მ. ტეოდორესკუ, ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი შ. ვოკრჟალოვა, ჰოლანდიის ჩემპიონი ი. ტუკი, აგრეთვე, რ. კორდოსო (ბრაზილია), ჰ. სოკოლოვა-კონარკოვსკა (იუგოსლავია), ი. ფერერი (ესპანეთი), ი. კოონი (გფრ), ფ. ჰეემსკერკი, კ. ვრეკენი, ჰ. ტიმერი (სამივე — ჰოლანდია) და მე.

● **როგორ წარიმართა ბრძოლა და როგორია მისი საბოლოო შედეგი?**

— მე თავიდანვე ხელთ ვიგდე ლიდერობა. I ტურში მოვუგე კორდოსოს, II — სოკოლოვას, III — ჰეემსკერკს, IV — ყაიმით დავამთავრე შეხვედრა ტეოდორესკუსთან, V ტურში დავამარცხე ვრეკენი, VI — კოონი, VII — ფერერი, VIII — ტუკი. IX — კვლავ ყაიმი, ახლა ასენოვასთან. X ტურში მოვუგე ტიმერს, XI ტურში — ყაიმი ვოკრჟალოვასთან.

ამრიგად, 9,5 ქულა მოვაგროვე. II-V ადგილები გაიყვეს ასენოვამ, ტეოდორესკუმ, სოკოლოვამ და ვოკრჟალოვამ — 6,5-6,5 ქულა.

სიმართლე რომ ვთქვა, I ადგილს არავინ მეცილებოდა, მეტოქეები თავიდანვე ჩამომრჩნენ. II ადგილზე ტეოდორესკუ უნდა გასულიყო, იგი ქულით უსწრებდა მეტოქეებს ბოლო ტურის წინ, მაგრამ ამ დღეს დამარცხდა სოკოლოვასთან.

● **თამაშით კმაყოფილი ხართ?**

— რა თქმა უნდა, თუმცა დიდ წინააღმდეგობას არ შევხვედრივარ. პარტიების უმეტესობის ბედი ენდშპილში წყდებოდა: ენდშპილის თამაშის საუცხოო პრაქტიკა მივიღე.

● **გვიჩვენეთ ერთი-ორი ენდშპილი.**

— აი, მაგალითად, დაბოლოება კორდოსოსთან შეხვედრაში:

ალექსანდრია



კორდოსო

მე ზედმეტი ფიგურა მაქვს, მაგრამ მოგება ძალიან ძნელია. თეთრებს ყაიმის შანსი აქვთ: მთავარია მათ თავისი ერთადერთი პაიკი საწყის მდგომარეობაში შეინარჩუნონ. მაგრამ თამაშის დროს მოგების ლამაზ გეგმას მივაგენი, როცა კორდოსომ მეფით მცდარი სვლა გააკეთა.

თამაში გაგრძელდა ასე: 1. ეd2 ეf4 2. მფb3? მფb5 3. ეd8 ეb4+ 4. მფc3 a5 5. ეd5 (5. ეb8+ კb6) 5. ... a5 6. ეd8 კd4+ თეთრები დანებდნენ: პაიკთა ენდშპილი, რომელიც 7. ე:d4 ე:d4 8. მფ:d4 მფb4 გამოდის, მოგებულია.

აი, მეორე მაგალითი. ეს ენდშპილი უფრო ღრმაა, ვიდრე პირველი.

ფერერი



ალექსანდრია

ფიგურა მყავს სამ პაიკში, მაგრამ მოგების კონკრეტული გზა არა ჩანს. ეს პოზიცია ალბათ საყაიმოა.

1. ... მფd6.

დილემაა, საით წავიდეს შავი მეფე. აგებდა 1. ... მფc6 2. კe2 g6 3. კd3 e5+ 4. მფe3 f5 5. g4! hg6 კ:f5!

2. კe2 e5+ 3. მფe3 მფc5.

აქამდე ესპანელი მოჭადრაკე სწორად თამაშობდა. ყაიმი გამოდიოდა 3. ... g6 4. კd3 f5 5. f4 e4 6. კc4 მფe7-ის შემდეგ. როგორც ირკვევა, მას საბოლოოდ ერთი ტემპი აკლდება. აი, როგორ წარიმართა თამაში.

4. კ:h5 a5 5. კf7 b5 6. h5 a4 7. მფd3 b4 8. კe8 a3 9. კf7 მფb5 10. g4 მფa4 11. მფc2 მფb5 12. კb3 მფc5 13. მფd3 მფb5 14. მფe4 მფc6 15. g5 fg 16. მფ:e5 g4 17. მფd4 მფd6 18. კd5 მფe7 19. მფe5 მფd7 20. მფf5 მფd6 21. კg8 მფe5 22. მფg6 მფd4 23. მფ:g7 მფc3 24. h6 b3 25. h7 a2 26. h8ლ a1ლ 27. მფh6+. შავები დანებდნენ.

● **დასვენების დღეებს როგორ ატარებდით?**

— სულ ოთხ დღეს დავისვენეთ. ორი დღე ამსტერდამში გავატარე — ნიკოლაუსთან ერთად ვნახე რემბრანდტისა და ანა ფრანკის მუზეუმები. ვიყავი კინოში, ვისეირნეთ გონდოლებით...

ერთ დასვენების დღეს 200-მდე სტუმარი ჰვეწვია ვეიკ-ან-ზეეში. გაიმართა ბლიცტურნირები. გამარჯვებულ ვაჟებს პრიზად აძლევდნენ... თითო კილოგრამ ხორცს. ამიხსნეს: ეს იმიტომ, რომ შინ მეუღლეები არ „წაეჩხუბონ" დაგვიანებისთვისო.

ფესტივალის ბევრი მონაწილე უფასოდ კერძო ბინაში ცხოვრობდა. ეს აქ ტრადიციაა. აი, ამ მასპინძლებისთვის ფესტივალის მესვეურებმა ბევერვეიკის კინოთეატრის შენობაში, სადაც ადრე ფესტივალები იმართებოდა, მოაწყვეს შეხვედრა ცნობილ მოჭადრაკეებთან. ეს იყო დაუვიწყარი საღამო, თვით ქალაქის მერი ეწვია ამ წვეულებას. ეს ფოტოსურათიც იქ არის გადაღებული. ვიმხიარულეთ, ვიცეკვეთ. ჩემი პარტნიორია დიდოსტატი ტაიმანოვი.

● **საინტერესო შეხვედრები თუ გქონდათ?**

— შევხვდი ძველ ნაცნობს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მაქს ეივეს. მან თბილისში ყოფნა გაიხსენა და მითხრა, ძალიან კარგი შთაბეჭდილებები დამრჩაო.

როგორც გავიგე, ფიდე-ს მომავალ კონგრესზე ეივეს ფიდე-ს პრეზიდენტად ირჩევენ.

გავიცანი ბენტ ლარსენი, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ვიგრძენი, რომ საკუთარ ძალაში დაჯერებული მოჭადრაკეა. იგი ჰოლანდიაში ჩამოვიდა ლექციებისა და სეანსების ჩასატარებლად.

შევხვდი, აგრეთვე, შვეციის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარეს შტაინს, რომელიც თბილისში გავიცანი. მან ერთხელ გიდობა გამიწია ამსტერდამის დათვალიერებისას.

● **ხომ არ დაიღალეთ?**

— სრულიადაც არა, თუმცა დღეში თითქმის 8 საათს ვთამაშობდით. ტური დღისით გვქონდა, საღამოს კი ორსაათიანი დამთავრება ეწყობოდა. თუ პარტია მაინც გადადებული დარჩებოდა, მაშინ მეორე დღეს კიდევ ერთ საათს ვთამაშობდით.

● **ინგლისური ენის ცოდნა ალბათ ძალიან გამოგადგათ...**

— რასაკვირველია. ჰოლანდიაში გერმანულთან ერთად ინგლისური ენა ძალიან პოპულარულია.



## [illegible]

### ✦ ფოთი

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა ქალაქის სკოლების ხელბურთელთა გუნდების შეჯიბრება. ჭაბუკებში ყველას აჯობა მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა, გოგონებში — მე-5 საშუალო სკოლის ნაკრებმა.

გ. ბასილაია.

### ✦ ვანი

სოფელ ისრითის საშუალო სკოლამ საკუთარი ძალით კეთილმოაწყო სპორტბაზები. მერე აქ გაიმართა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, სროლა, ჭიდაობა და ჭადრაკი.

ნ. მაღლაკელიძე,
ისრითის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

# ყოველი მხრიდან

## „რინგზე აღარასოდეს დავბრუნდები"

როგორც ცნობილია, 1967 წელს მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა კრივში პროფესიონალთა შორის კასიუს კლეიმ უარი თქვა ვიეტნამში საბრძოლველად წასვლაზე. ამისთვის მას 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, დიდი ფულადი ჯარიმა დააკისრეს და სპორტიდან განდევნეს. მაშინ კრივის ბევრი მოყვარული ფიქრობდა, რომ დაუმარცხებელი სპორტსმენი მაინც დაბრუნდებოდა რინგზე.

მაგრამ გადიოდა თვეები, წლები. კლეის არც ერთხელ არ დართეს „მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონებთან" შეხვედრის უფლება. მის წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიური კამპანია გაიშალა, როცა ჩემპიონი გახდა ტოკიოს ოლიმპიადაში გამარჯვებული ჯო ფრეზერი. „კლეის არავითარი შანსი არა აქვს ფრეზერის წინააღმდეგ ბრძოლაში", — აცხადებდნენ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, რადიოთი და ტელევიზიით „სპეციალისტები", რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმული კლეის წინააღმდეგ მოწყობილ პროვოკაციებში, თუმცა თვად ფრეზერმა ბევრჯერ აღნიშნა, რომ უძლიერესის ტიტული სამართლიანად ეკუთვნოდა კლეის.

ბუნებრივია, კლეის ბრძოლა სწყუროდა. პენტაგონის ერთგული მოსამსახურენი — მენეჯერები კი უამრავ მიზეზს იშველიებდნენ, რათა ხელი შეეშალათ მისთვის ამ კანონიერი მოთხოვნის შესრულებაში — თავისი წოდების დაცვის უფლების მოპოვებაში. როცა კლეიმ ითხოვა მატჩის მოწყობის უფლება აშშ-ს ფარგლებს გარეთ — იაპონიაში, მექსიკაში ან ავსტრალიაში, მას პირდაპირ გამოუცხადეს: საზღვარგარეთის პასპორტს ვერასოდეს იხილავო.

კასიუს კლეი დიდხანს იბრძოდა და ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა დაეთმო. „მე რინგზე აღარასოდეს დავბრუნდები, — ამას წინათ თქვა გულნატკენმა ჩემპიონმა. — მხოლოდ ის მინდოდა, რომ ფრეზერს შევხვედროდი, რათა დამემტკიცებინა, ვინ იყო ჩვენში უძლიერესი. სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელი. მენეჯერებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ჩვენი შეხვედრა არ შემდგარიყო".

ასე გადაუხადა სამაგიერო ოფიციალურმა ამერიკამ მებრძოლსა და მოქალაქეს, რომელმაც უარი თქვა ვიეტნამში ბრძოლაზე. ასე სძლია ადმინისტრაციულ-სამხედრო მანქანამ რინგზე უძლეველ ჩემპიონს.

## „უემბლის" განახლება

სტადიონები ადამიანებს ჰგვანან. ისინიც არიან ახალგაზრდები და ლამაზები, შემდეგ ხანში შედიან და ბერდებიან კიდეც. და აი, მაშინ დგება რეკონსტრუქციის ხანა.

ცნობილია, რომ ინგლისში სტადიონების უმეტესობა ძველია. ზოგი უკვე ისე გაფუჭდა, რომ რეკონსტრუქცია უკვე შეუძლებელია, მაგრამ ქვეყნის № 1 სტადიონი „უემბლი", რომელიც ბრიტანეთის ყველა დიდ შეჯიბრებას მასპინძლობს და სადაც გაიმართა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრებები ფეხბურთში, განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა.

თითქოს არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც „უემბლის", სადაც 100 ათასი მაყურებელი ეტევა, პლასტიკური მასალის სახურავი გაუკეთეს. და აი, ახლა, ბრიტანეთის მთავრობამ, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ ინგლისში სპორტს უმნიშვნელო თანხა ეთმობა, გადაწყვიტა თავი შეეწუხებინა და კომპლექსის რეკონსტრუქციისთვის 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოეყო.

უნდა ითქვას, რომ სტადიონის რეკონსტრუქციაში, რომელიც პროექტით 1971 წლის ბოლოსთვის უნდა დამთავრდეს, არავითარი ახალი სპორტული ნაგებობის დამატება არ არის გათვალისწინებული. „უემბლის" ტერიტორიაზე აღიმართება საგამოფენო დარბაზი, პრეს-ცენტრი და სასტუმრო. ამას გარდა მოეწყობა სტადიონამდე დახურული მისასვლელები ქვეითად მოსიარულეებისთვის და კეთილმოეწყობა ტრიბუნები.

## რეკლამის ყოფნა-არყოფნა

რეკლამა ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია კაპიტალისტური ბიზნესისა სპორტში. იგი სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს სტადიონებსა და სპორტულ დარბაზებში, ტრეკებზე და აუზებში. ახლა, როცა ვუყურებთ გადაცემებს, ვთქვათ, გრენობლიდან ან ფლორენციიდან, აღარ გვიკვირს, რომ ჰოკეის მოედნების მოაჯირები და ფეხბურთის მინდვრების ტრიბუნებისგან გამომყოფი ფარები „ერ ფრანსის" რეკლამებითაა აჭრელებული. ეს რეკლამები გვთავაზობენ, ვიფრინოთ მხოლოდ ამ საზოგადოების თვითმფრინავებით. ფირმა „სალვარანი" გვარწმუნებს, რომ მისი ნაწარმი სამზარეულოს ნივთები შეუდარებელია.ველომრბოლელებს მაისურები კაპიტალისტური საწარმოების რეკლამებით აქვთ დამშვენებული, კალათბურთელები „სიმენტალისა" და „ინისის" ნაწარმს უწევენ პროპაგანდას.

მძლეოსნობაში ასეთი რამ იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება. ყველას ახსოვს აშშ-ს ნაკრების ეკიპირებასთან დაკავშირებული ბნელი მაქინაციები ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში. მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში ნამდვილი სკანდალი გამოიწვიეს დასავლეთგერმანულმა ფეხსაცმლის ფირმებმა „პუმამ" და „ადიდასმა". სპორტსმენები მათი ნაწარმით გამოდიოდნენ სარბიელზე და, ბუნებრივია, ამისთვის განსაკუთრებულ ჰონორარს იღებდნენ.

მძლეოსნობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის (იააფ-ი) საბჭოს რეაქცია კონკრეტული იყო. მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა სპორტსმენი გამოსულიყო თეთრი ფეხსაცმლით, რომელზეც არავითარი საფაბრიკო ნიშნები არ იქნებოდა. დიდი შეჯიბრებებისთვის ეს გადაწყვეტილება 1970 წლის პირველი მაისიდან შევა ძალაში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იააფ-ის ევროპული კომიტეტის პრეზიდენტის ა. პაულენის განცხადება ლოზანის პრესკონფერენციაზე. „ჩვენ არ ვაპირებთ ჩვენივე გადაწყვეტილების გაკრიტიკებას, მაგრამ ვაღიარებთ, რომ სპორტული ინვენტარის სამრეწველო ფირმები მძლეოსნობას უდიდეს დახმარებას უწევენ. მათ მიერ ორგანიზებული შეჯიბრებების წყალობით კლუბები სოლიდურ დოტაციებს იღებენ. ეს შეჯიბრებები რომ აღარ ჩატარდეს, ზარალი მართლაც საგრძნობი იქნება. ამასთან, იააფ-ს იმედი აქვს, რომ ვიპოვნით რაღაც გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან. შესაძლებელი გახდება გვერდი ავუაროთ ისეთ ინციდენტებსაც, რომელიც მეხიკოში მოხდა. სწორედ ამ საკითხებს განიხილავს იააფ-ის ევროპული საბჭო, რომელიც 18 მარტს შეიკრიბება".

ა. პაულენმა არ განაცხადა, პირადად რა შეხედულებისაა ამ პრობლემაზე, მაგრამ თქვა, რომ რაღაც შეთანხმება ფაბრიკანტებთან საჭიროა, რომ მათ უნდა ითანამშრომლონ იააფ-თან. როცა სტადიონებზე სხვადასხვა ფირმის რეკლამის საკითხს ეხებოდა, პაულენმა თქვა, რომ ეს ყველა ცალკეულ შემთხვევაში ორგანიზატორების საქმეა.

მაშ ასე, პაულენს არ სურს გარკვეული არჩევანი გააკეთოს სპორტული ინვენტარის სამრეწველო ფირმებსა და მკაცრ სამოყვარულო სტატუსს შორის. ამასობაში კი რეკლამა სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება დასავლეთის მძლეოსნობაში.

ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატებისთვის

# ესტერსუნდი ელის...

ზამთრის სპორტის საინტერესო სახეობის — ბიატლონის მოყვარულნი ერთობ გაოცებული იყვნენ, როცა ამას წინათ მინსკიდან 100 კილომეტრით დაშორებით ჩატარებული შეჯიბრების მოწმენი გახდნენ. საქმე ისაა, რომ საუკეთესო საბჭოთა სათხილამურო სნაიპერები — მსოფლიო ჩემპიონი ა. ტიხონოვი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი რ. საფინი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. მამატოვი და მსოფლიო ჩემპიონი იუნიორთა შორის ა. უშაკოვი ბელორუსიის თასის გათამაშებაში გამოდიოდნენ... რბოლაში.

ბიატლონისტებმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს „წმინდა" მოთხილამურეებს, ა. უშაკოვმა II ადგილი დაიკავა 20-კილომეტრიან დისტანციაზე და გამარჯვებულს მხოლოდ 30 წამი დაუთმო. 4×10 კმ-ზე ესტაფეტაში დამაჯერებლად გაიმარჯვა ბიატლონისტთა კვარტეტმა, ამასთან, კარგი დრო აჩვენა ძნელ მეტეოროლოგიურ პირობებში — 2:29.49.

მინსკის მახლობლად ჩატარებული ეს ტურნირი უძლიერესი საბჭოთა ბიატლონისტების მზადების ერთ-ერთი ბოლო ეტაპია მორიგი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც 19-22 თებერვალს უნდა ჩატარდეს შვეციის ქალაქ ესტერსუნდში.

ბიატლონში სსრ კავშირის ეროვნული ნაკრების პრეტენდენტებმა გაიარეს შესარჩევ შეჯიბრებათა მთელი „საცერი", რომელიც დაიწყო სარაპულში, სადაც გათამაშდა „იჟევსკური შაშხანის" პრიზი. შემდეგ ესტერსუნდში გამგზავრების კანდიდატებმა სტარტი აიღეს „რუსეთის თხილამურების" პრიზის გათამაშებაში, რომელიც კიროვის მახლობლად ჩატარდა. დაბოლოს, საბჭოთა ბიატლონის საუკეთესო წარმომადგენლები შეიკრიბნენ ლატვიის ქალაქ ცესისში, რათა გაეთამაშებინათ სსრ კავშირის თასი და საბოლოოდ გაენაწილებინათ ადგილები ეროვნულ ნაკრებში.

— ესტერსუნდის მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლის უფლება, — თქვა საბჭოთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ა. პრივალოვმა, — მოიპოვეს ნოვოსიბირსკელებმა ა. ტიხონოვმა და ვ. მამატოვმა, ლენინგრადელებმა რ. საფინმა და ნ. პუზანოვმა, იჟევსკელმა ა. უშაკოვმა, აგრეთვე, მინსკელმა ვ. ტოლკაჩოვმა.

იუნიორთა ნაკრებში შედიან იჟევსკელი გ. ბურანოვი, აგრეთვე, ახალგაზრდა და პერსპექტიულ ბიატლონისტთა ტრიო ლატვიიდან — ა. ბოგდანოვი, ი. ვინგრისი და ი. ვერნერი.

— სსრ კავშირის ახლანდელი ნაკრები, — განაგრძო პრივალოვმა, — ჩემი აზრით, წარმოადგენს ახალგაზრდობისა და გამოცდილების მარჯვე ნაერთს. საუკეთესო საბჭოთა ბიატლონისტთა ექვსეული მწვრთნელთა საბჭომ ერთხმად დაასახელა.

ა. ტიხონოვი კარგადაა ცნობილი სპორტულ სამყაროში. მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში (ზაკოპანე) იგი დიდების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ხოლო ერთი წლით ადრე ვერცხლის მედალი მოიპოვა გრენობლის ოლიმპიურ თამაშებში. ტიხონოვი გამოირჩევა დიდი სისწრაფით რბენისას და სნაიპერული სროლის უნარით.

ვეტერანი ნ. პუზანოვი დიდად გამოცდილი სპორტსმენია და ტრასაზე ყოველგვარი მოულოდნელობისთვის მზადაა. რ. საფინი წლევანდელ სეზონში უაღრესად სტაბილური შედეგებით გამოირჩევა და ყველა შეჯიბრებაში საუკეთესოთა შორის იყო. ნოვოსიბირსკის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ასპირანტი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. მამატოვი თანაბრად ძლიერია როგორც პირად რბოლაში, ისე ესტაფეტაშიც, სადაც გუნდი მას, როგორც წესი, ყველაზე ძნელ ეტაპს ანდობს ხოლმე. განსაკუთრებულ იმედებს ამყარებენ ამასწინანდელ იუნიორებზე ვ. ტოლკაჩოვსა და ა. უშაკოვზე, რომლებსაც, სპეციალისტთა აზრით, შეუძლიათ სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზონ ესტერსუნდში.

საბჭოთა ბიატლონისტთა ერთ-ერთი მთავარი მეტოქენი მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში იქნებიან შვეციისა და ნორვეგიის წარმომადგენლები. მაგრამ ამ გუნდების მწვრთნელებს ჯერ არ დაუსახელებიათ თავიანთი ნაკრები კოლექტივების საბოლოო შემადგენლობანი. ცნობილია მხოლოდ, რომ ოლიმპიური ჩემპიონი, ნორვეგიელი მ. სოლბერგი გაძლიერებით ემზადება ესტერსუნდის ტურნირისთვის და ხშირად გამოდის სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში.

ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებით ასპარეზობის შანსი აქვთ ცენტრალური ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებსაც, სადაც ბიატლონმა ბოლო წლებში დიდი პოპულარობა ჰპოვა. საუკეთესო შესაძლებლობები აქვთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოთხილამურე-სნაიპერებს, რომლებიც ამას წინათ საერთაშორისო ტურნირში შეხვდნენ ერთმანეთს ზაკოპანეში.

— ერთი სიტყვით, საბჭოთა გუნდს, — თქვა ბოლოს პრივალოვმა, — მოუხდება მთელი თავისი შესაძლებლობისა და ოსტატობის მობილიზება, რათა უძლიერესის წოდება შეინარჩუნოს.

ა. ვოლოდინი.



## „სირენკა"

ასე ეწოდება პოლონურ სპორტულ-მხატვრულ მოცურავეთა ჯგუფს, რომელიც ვირტუოზულადაა დაუფლებული მხატვრული ცურვის ტექნიკას.

ვარშავის ახალგაზრდობის სასახლეში 65 გოგონა ფლობს მხატვრული ცურვის ილეთებს. თავდაპირველად საქმე არც ისე კარგად მიდიოდა, მაგრამ პოლონელ სპორტსმენებს დაეხმარნენ კოლეგები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, სადაც ბევრი ასეთი კოლექტივი რამდენიმე წლის წინათ ჩამოყალიბდა და საკმაო პოპულარობაც მოიპოვა. მხატვრულ-სპორტული ცურვის მოყვარულებს აქვთ ასეთი დევიზი: ვიცურაოთ თევზივით, ვიცეკვოთ ბალერინასავით. პოლონეთის ბევრ ქალაქში „სირენკა" ასრულებს საბალეტო ნომრებს: „ვენის ვალსი", „25 წლისთავის ვალსი". სულ ახლახან მათ მოამზადეს და მაყურებელს უჩვენეს ბალეტი „გედის ტბა" მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი მუსიკის თანხლებით.

• • •

სურათებზე: ზემოთ — „სირენკას" კოლექტივის ერთი ჯგუფი; ქვევით — ფიგურული ცურვა.



## გრძელი ნახტომები

შტრბსკე-პლესო, 9 თებერვალი. ჩეხოსლოვაკიის „მფრინავ მოთხილამურეთა" ჩემპიონატში, რომელიც სწორედ იმ ტრამპლინზე გაიმართა, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის მედლებისთვის იბრძოლებენ, ყველას აჯობა რ. დოუბეკმა — 232,6 ქულა (ნახტომები — 98 და 104 მ). II ადგილზეა გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონი ი. რაშკა — 229,7 (97 და 101,5), III — რ. ჰენლი — 228,5 (101,5 და 101,5).

ოსლო, 9 თებერვალი. ნორვეგიელმა „მფრინავმა მოთხილამურეებმა" მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბოლო რეპეტიცია გამართეს ჰოლმენკოლენის ტრამპლინზე. გაიმარჯვა ბ. ვირკოლამ, რომელიც 109 და 97 მეტრზე გადახტა.

## გასწორება

„ლელოს" 8 თებერვლის ნომრის მე-3 გვერდზე გამოქვეყნებული წერილის — „მხოლოდ ერთი კაცით" პირველი აბზაცის მეცხრე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „იდან რბოლებსა და გიგანტურ" და შემდეგ, როგორც ტექსტშია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 08051